ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**g-15. 15231187**
თარიღი:**28/04/2023**

ა(ა)იპ ,,ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“-ს პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებისთვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“ გაათავისუფლოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“ შორის 2019 წლის 11 თებერვალს გაფორმებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი უზუფრუქტის უფლებით სარგებლობაში გაცემის შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის საზღაურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი